ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 19/12/16

(CPV 72400000 – ინტერნეტ მომსახურეობები)

ქ.თბილისი 28 დეკემბერი 2016 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის #1805 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგეზე: ერთი მხრივ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ტორუას სახით, შემდგომში „შემსყიდველი” და მეორე მხრივ, შპს „მაგთიკომი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის (პ/ნ:01008020934) სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შპს „მაგთიკომის“ კუთვნილი აღჭურვილობით EVDO USB და EVDO Wireless Gateway მოდემების საშუალებით მომსახურების მიწოდება, შემდგომში „შესყიდვის ობიექტი”.

1.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ დროებით სარგებლობაში გადასცეს 36 ცალი EVDO USB და 12 ცალი EVDO Wireless Gateway მოდემი, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაუხადოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საფასური.

1.3. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინტერნეტ მომსახურება დანართი N1-ით გათვალისწინებულ ESN-ის ნომერ(ებ)ზე, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია EVDO Wireless Gateway მოდემის საშუალებით ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 30960.00 (ოცდაათი ათას ცხრაას სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ერთ თვეში მომსახურების ღირებულება შეადგენს 2580.00 (ორი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ქსელში ჩართვის და მომსახურების მიწოდების ტარიფები/ინტერნეტ პაკეტის ღირებულება და პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ით, ხოლო მოდემის დასახელება და მომსახურების ტიპი განისაზღვრება დანართი N1-ით. ზემოხსენებული დანართები (დანართი N1, დანართი N2) წარმოადგენენ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N19/12/16 ის განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, ასეთ შემთხვევაში მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას, 3 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორცილედება ეროვნულ ვალუტაში, შემდგომი გადახდის პირობით.

6.2. მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით. დანართში N2-ში მითითებული ფასების მიხედვით, გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, შესაბამისი თვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიწოდება.

ბ) „მიმწოდებილის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) თვითონ ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით, დაუბრკოლებლად განახორციელოს „მომწოდებლის“ მიერ განხორციელებული შესყიდვლის მომსახურების ხარისხის შემოწმება

დ) მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისთვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

ბ) ერთი კვირით ადრე წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

7.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელთან“ წინასწარი შეთანხმების გარეშე „შემსყიდველი“, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეშე, მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირ(ებ)ისათვის სასყიდლით (მოგების/სარგებლის მიღების მიზნით);

ბ) მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებ ის დაცვით;

გ) ცალმხრივად დაადგინოს ან/და შეცვალოს მომსახურების პირობები, სახეები, წესები, ტარიფები, საფასური გადახდის წესები და სხვა პირობები. ნებისმიერი ცვილების შესახებ, „შემსყიდველს“ ეცნობება წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე. ეს წესი მოქმედებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება „შემსყიდველისთვის“ აუარესებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

დ) დროებით, ნაწილობრივ ან სრულად შეაჩეროს მომსახურების მიწოდება, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღებისას: ზიანს აყენებს ოპერატორს; სხვა აბონონტებს ან მესამე პირებს; აბონენტისათვის გამოყოფილი სააბონენტო მოწყობილობით ან საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა; ახორციელებს მრავალჯერად მცდელობებს არარსებული გადახდის ბარათის გააქტიურების მიზნით; აწარმოებს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური, ან მავნე პროგრამების გავრცელებას, ან გადამისამართებას, ან ახორციელებს სხვა, მათ შორის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, მოგების მიღების მიზნით ან აბონენტი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში.

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს „შემსყიდველს“ ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის, ასევე „შემსყიდველისათვის“ საჭირო სხვა საკითხების (რომელიც „მიმწოდებლის“ მომსახურებას შეეხება) შესახებ;

გ) დაიცვას მომსახურებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები;

დ) მომსახურება მიაწოდოს დღე–ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა, რომელიც შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, რადიოსიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს, განსაკუთრებით შენობებში, გვირაბებში, ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებიდან გამომდინარე;

ე) მომსახურების მიწოდება დაიწყოს (ქსელში ჩართვა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

ვ) მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) დადგენილ ვადებში

ე) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

7.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას კომუნიკაციების სფეროსათვის დამახასიათებელი არაკეთილსინდისიერი ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას აღნიშნული ქმედების დროულად აღსაკვეთად. არაკეთილსინდისიერი ქმედების დროულად აღსაკვეთად „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეუზღუდოს „შემსყიდველს“ მომსახურების მიწოდება.

8. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. „მიმწოდებელი" არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია „შემსყიდველის" მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

8.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება წერილობითი გაფრთხილება.

9.3. „მიმწოდებელი" არ არის პასუხისმგებელი „შემსყიდველისთვის" ან მესამე პირებისათვის მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერებაზე, მონაცემთა დაკარგვის მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის, ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის წესი

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის დებულებებში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების გზით.

11.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3.მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით „შემსყიდველი" უფლებამოსილია პრეტენზიით/საჩივრით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს „მიმწოდებელს". წერილობითი პრეტენზია/საჩივარი შედგენილი უნდა იქნას განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს „მიმწოდებელს" ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას №7 აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან „მიმწოდებლის" ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს. პრეტენზიაში „შემსყიდველმა" უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. წარდგენილი პრეტენზია განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

12. სხვა პირობები

12.1.წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

12.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

12.3.მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ჯარიმის/პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ და ამ უფლების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს/ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5.წინამდებარე ხელშეკრულების მუხლები/პუნქტები დასათაურებულია მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და გავლენას არ მოახდენს მათ ინტერპრეტირებაზე.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანამბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან". წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებულ უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #144
ფაქტიური მისამართი:
ქ.თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #117
დაფინანსების წყარო:
სახელმწიფო ბიუჯეტი
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 3503030702

დირექტორი
დავით ტორუა

მიმწოდებელი:
შპს „მაგთიკომი"
ს/კ: 204876606
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ., №7
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № BAGAGE22
ა/ა GE66BG0000000241607901

გენერალური დირექტორის მოადგილე
გია კოშორიძე

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე

გ. ტარუღიშვილი

ვ. ჭანიშვილი

გ. თოფურია

გ.აბულაძე

შემსრულებელი: ლ.თავაძე;

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 19/12/16 ის დანართი N 1
მოდემის დასახელება, რაოდენობა და მომსახურების ტიპი

Dual EC-901	0922273A	internet
Dual EC-901	092227F2	internet
Dual EC-901	092227FC	internet
Dual EC-901	0933EA2B	internet
Dual EC-901	0922271B	internet
Dual EC-901	092227FA	internet
Dual EC-901	092226E8	internet
Dual EC-901	09222745	internet
Dual EC-901	092227F6	internet
Dual EC-901	09222806	internet
Dual EC-901	092226E3	internet
Dual EC-901	092226D9	internet
Dual EC-901	09222804	internet
Dual EC-901	09222803	internet
Dual EC-901	09222813	internet
Dual EC-901	09222800	internet
Dual EC-901	09222814	internet
Dual EC-901	0922273D	internet
Dual EC-901	092226E4	internet
Dual EC-901	092226E9	internet
Dual EC-901	092227EA	internet
Dual EC-901	09222807	internet
Dual EC-901	09222704	internet
Dual EC-901	092228F3	internet
Dual EC-901	092226CD	internet
Dual EC-901	092226F2	internet
Dual EC-901	093696E8	internet
Dual EC-901	09368C60	internet
Dual EC-901	09368D16	internet
Dual EC-901	09368D0E	internet
Dual EC-901	09369711	internet
Dual EC-901	0931AAF4	internet
Dual EC-901	**0933E9D3**	internet
Dual EC-901	093692B2	internet
Dual EC-901	09369549	internet
Dual EC-901	0936913F	internet
MV 610	5F6D1625	internet
MV 610	5F6D1626	internet
MV 610	5F6D1627	internet

MV 610	5F6D25D2	internet
MV 610	5F6D25D3	internet
MV 610	5F6D25D0	internet
MV 610	5F6D1825	internet
MV 610	5F6D15D7	internet
MV 610	5F6D183E	internet
MV 610	5F6D182A	internet
MV 610	5F6D184C	internet
MV 610	5F6D1842	internet

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 19/12/16-ის დანართი N2

EVDO USB და EVDO Wireless Gateway მოდემების საშუალებით ინტერნეტ მომსახურების ტარიფები:

მომსახურება	Dual EC-901	EVDO Wireless Gateway MV-610
ყოველთვიური სააბონენტო ერთი მოდემისთვის	45 ლარი	80ლარი
წუნიანი (მწარმოებლის) მოდემის შეცვლა 3 დღის განმავლობაში	უფასო	
კომპანიის ბრალით დაზიანებული მოდემის შეცვლა/დაკარგული მოდემის ღირებულება	65 ლარი	400 ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დირექტორი
დავით ტორუა

მიმწოდებელი:
შპს „მაგთიკომი“

გენერალური დირექტორის მოადგილე
გია კოშორიძე